

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №319

2014 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის:

ა) „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 50-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ტერიტორიებზე არსებული ქონების მიხედვით დარიცხული და გადაუხდელი ქონების გადასახადის, მასზე დარიცხული საურავის და ჯარიმის ჩამოწერის თაობაზე საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება;

მ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 50-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერიტორიების მიმდებარედ პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მიწის მიხედვით დარიცხული და გადაუხდელი ქონების გადასახადის, მასზე დარიცხული საურავისა და ჯარიმის ჩამოწერის თაობაზე საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება;“;

ბ) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 50-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული ქონების და მასზე დამაგრებული მიწის მიხედვით დარიცხული თუ გადაუხდელი ქონების გადასახადის, მასზე დარიცხული საურავის და ჯარიმის ჩამოწერის თაობაზე საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება, თუ პირი ამ ქონებით ვერ სარგებლობს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ საცხოვრებლად გამოყენების გამო და ეს ქონება რეგისტრირებულია, როგორც დევნილთა კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ობიექტი.“.

2. 75² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) არ გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

